საჯარო სამართლის იურიდიული პირი

# ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება

ქ. თბილისი

N 2164-02
09/08/2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების" საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 მაისის N5 სხდომის ოქმის საფუძველზე და ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომპარატიული ისტორიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ" რექტორის 2017 წლის 5 ივნისის N1267-02 ბრძანების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის №2 ოქმის საფუძველზე და ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ" რექტორის 2017 წლის 5 ივნისის N1267-02 ბრძანების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 აგვისტოს სხდომის N7 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2017 წლის 9 აგვისტოს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი, კერძოდ:

ა) პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნას ბიძინა ლებანიძე.

ბ) კომპარატიული ისტორიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნას ადრიან ბრისკუ.

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშის დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.

3.უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი